

მაია ბლიაძე

7

# გეოგრაფია

მოსწავლის რვეული

დამატებითი სავარჯიშოები



სულაკაურის  
გამომცემობა

**1**  
တော်

# ရွှေဇာခုပြေ



# რა არის გეოგრაფია

- 1.** გაიხსენე გეოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემაში შემავალი გეოგრაფიული დარგები და შეავსე ცხრილი:

შიდა გეოგრაფია  
(საბუნების მეტყველო):

---



---



---



---

საზოგადოებრივი  
გეოგრაფია:

---



---



---



---

გეოგრაფია

საზოგადოებრივ-საპუნეპისმეტყველო  
გეოგრაფია:

---



---



---



---

გეოგრაფიული კარტოგრაფია:

---



---



---



---

- 2.** დააკვირდი სურათებს და აღწერე, რომელი ბუნებრივი და ანთროპოგენული ობიექტებია მათზე გამოსახული:




---



---



---



---

ନୟନ୍ତର କରନ୍ତିଲେଖନଙ୍କ ପାଠ୍ୟକାରୀ ଉପରୁଷ ପଦିକ୍ଷବି

2

- 1. გააანალიზე ერატოსთენეს რუკა (ქვემოთ) და უპასუხე შეკითხვებს:**

პ. როგორ წარმოედგინათ ძველ ბერძნებს დედამიწა?

---

---

ბ. როგორ არის განაწილებული რუკაზე წყალი და ხმელეთი?

**პ. სმელეთის რომელ ნაწილებს იკნობდნენ ძველი ბერძნები?**

---

---

፩. የጊዜ ተስፋዎች እንደሚከተሉት ስልጣን ይፈጸማል

---

---

ე. დაადგინე იმ ტერიტორიების თანამედროვე სახელწოდებები, რომელთაც ძველი ბერძნები უწოდებდნენ: კუნძულ იერნას, ჰერკულესის სვეტების სრუტეს, პონტოს ევქსინოსს, კუნძულ ტაპრობანს.



**2. შემოხაზე სწორი პასუხი:**

ა) რას ნიშნავს სიტყვა „გეოგრაფია“?

- |                        |                                    |
|------------------------|------------------------------------|
| ა. პლანეტების აღწერას; | ბ. ბუნებრივი პირობების აღწერას;    |
| გ. დედამიწის აღწერას;  | დ. სასარგებლო წიაღისეულის აღწერას. |

ბ) გეოგრაფია, როგორც მეცნიერება ჩაისახა:

- |                 |              |
|-----------------|--------------|
| ა. საბერძნეთში; | ბ. ჩინეთში;  |
| გ. ეგვიპტეში;   | დ. იტალიაში. |

გ) ვინ დაამკვიდრა ტერმინი „გეოგრაფია“:

- |                 |               |
|-----------------|---------------|
| ა. არისტოტელემ; | ბ. სტრაბონმა; |
| გ. ერატოსთენემ; | დ. პტოლემემ.  |

დ) ჩამოთვლილთაგან რომელი მიეკუთვნება გეოგრაფიული კვლევის ტრადიციულ მეთოდს?

- |                   |                   |
|-------------------|-------------------|
| ა. აეროკოსმოსური; | ბ. მათემატიკური;  |
| გ. სოციოლოგიური;  | დ. კარტოგრაფიული. |

ე) დედამიწის გარშემო პირველი მოგზაურობას ხელმძღვანელობდა:

- |                        |                   |
|------------------------|-------------------|
| ა. ქრისტეფორე კოლუმბი; | ბ. ვასკო და გამა; |
| გ. ფერნანდო მაგელანი;  | დ. მარკო პოლო.    |

ვ) ვინ იყვნენ პირველი მოგზაურები?

- |                 |                 |
|-----------------|-----------------|
| ა. ეგვიპტელები; | ბ. ბერძნები;    |
| გ. რომაელები ;  | დ. ფინიკიელები. |

ზ) რომელ საუკუნეში დამთავრდა დედამიწის ზედაპირის აღწერა:

- |           |          |           |             |
|-----------|----------|-----------|-------------|
| ა. XIX ს. | ბ. XX ს. | გ. XXI ს. | დ. XVIII ს. |
|-----------|----------|-----------|-------------|

თ) ვინ დაარქვა მრავალ გეოგრაფიულ ობიექტს, მათ შორის ევროპას („ერებ“) და აზიას („ასუ“) სახელი?

- |                 |                 |
|-----------------|-----------------|
| ა. რომაელებმა   | ბ. ფინიკიელებმა |
| გ. ეგვიპტელებმა | დ. ჩინელებმა    |
| ჟ. ინდოელებმა   |                 |

ი) დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაა:

- |               |                  |
|---------------|------------------|
| ა. X-XII სს.  | ბ. XV- XVII სს.  |
| გ. XII-XV სს. | დ. XVI-XVIII სს. |

**3. გამოიცანი მოგზაურები ალწერილობის მიხედვით:**

ა. პირველმა იმოგზაურა დედამიწის გარშემო:

---

ბ. პირველი მოგზაურია, რომელმაც მთელი აზია შემოიარა:

---

გ. გამოთვალა დედამიწის ზომები, დაამკვიდრა სიტყვა „გეოგრაფია“:

---

დ. დაამტკიცა დედამიწის სფერულობა:

---

ე. ამერიკის კონტინენტს „ახალი სამყარო“, მოგვიანებით კი „ამერიკის მიწები“ უწოდა:

---

ვ. პირველმა მიაღწია ამერიკის ნაპირებს:

---

**4. დააკვირდი რუკას და უპასუხე კითხვებს:**



ა. რომელი მოგზაურის ექსპედიციის მარშრუტია ნაჩვენები რუკაზე?

---

ბ. რომელ სრუტეს ეწოდა ექსპედიციის მეთაურის სახელი და სად მდებარეობს იგი?

---

გ. რა გეოგრაფიული მნიშვნელობა ჰქონდა ამ ექსპედიციას

---

**5. ნასწავლი და დამატებითი მასალის გამოყენებით შეავსე ცხრილი:**

**დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები**

ნიაზირობები	მიზანები	შედეგები
პოლიტიკური:		
რელიგიური:		
სოციალურ-ეკონომიკური:		
სამეცნიერო და ტექნოლოგიური:		
ისტორიულ-გეოგრაფიული:		

# დედამიწის ფორმა და სიზღვა

3

1. რით აიხსნება, რომ დედამიწის პოლარული რადიუსი ეკვატორულ რადიუსზე 21 კმ-ით ნაკლებია?

---

---

---

2. გამოთვალე 1°-იანი რკალის სიგრძე კილომეტრებში ეკვატორის გასწვრივ შემდეგი ფორმულის გამოყენებით: (აჩვენე გამოთვლის პროცესი)


1°-იანი რკალის სიგრძე ( $\text{კმ}$ ) = დედამიწის გარშემოწერილობა ეკვატორის გასწვრივ ( $\text{კმ}$ ): დედამიწის გარშემოწერილობაზე (გრადუსები)

---

---


---

3. რომელ ნახაზზეა სწორად ნაჩვენები დედამიწაზე ხმელეთისა და წყლის განაწილება?



4. რას ასახავს მოცემული დიაგრამა?

- ა. დედამიწის ზედაპირზე მსოფლიო ოკეანისა და შიდა წყლების განაწილებას;  
ბ. ოკეანეებისა და კონტინენტების ფართობებს;  
გ. მხოლოდ ოკეანეების ფართობებს;  
დ. დედამიწაზე ხმელეთისა და წყლის განაწილებას ნახევარსფეროების მიხედვით.



# დედამიწის მოძრაობა და სასაათო სარტყლები

**1.** გამოიყენე სასაათო სარტყლების რუკა და შემოხაზე სწორი პასუხი:

ა) დედამიწაზე დღე-ლამის მონაცვლეობის მიზეზია:

- ა. დედამიწის მოძრაობა თავისი წარმოსახვითი ღერძის გარშემო;
- ბ. დედამიწის მოძრაობა ორბიტის გარშემო;
- გ. დედამიწასა და მზეს შორის მანძილის ცვლილება;
- დ. დედამიწის სფერულობა.

ბ) რამდენ სასაათო სარტყლად იყოფა დედამიწა?

- |        |        |
|--------|--------|
| ა. 10; | ბ. 14; |
| გ. 13; | დ. 24. |

გ) რამდენი საათია განსხვავება აფრიკის უკიდურეს დასავლეთ და აღმოსავლეთ წერტილებს შორის?

- |             |             |
|-------------|-------------|
| ა. 6 საათი; | ბ. 4 საათი; |
| გ. 5 საათი; | დ. 3 საათი; |

დ) რა მიმართულებით უნდა გადავწიოთ საათის ისრები ტოკიოდან პარიზისკენ მოგზაურობისას?

- ა. წინ;
- ბ. უკან;
- გ. ისრები არ უნდა გადავწიოთ;
- დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

**2.** სასაათო სარტყლების რუკის გამოყენებით უპასუხე შეკითხვებს:

ა) რომელი საათია თბილისში, თუ ლონდონში 12 საათია?

- |                   |                                   |
|-------------------|-----------------------------------|
| ა. დილის 4 საათი; | ბ. საღამოს 8 საათი;               |
| გ. 16 საათი;      | დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი. |

ბ) რომელი საათია ბერლინში, როცა თბილისში 20 საათია?

- |                   |                                   |
|-------------------|-----------------------------------|
| ა. დილის 6 საათი; | ბ. 18 საათი;                      |
| გ. 12 საათი;      | დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი. |

გ) გემმა კამჩატკის ნ-კ (რუსეთი) 12 სექტემბერს დილის 8 საათზე დატოვა და ლოს-ანჯელესის (აშშ) პორტში 24 სექტემბერს 12 საათზე შევიდა. რა დრო მოანდომა გემმა ამ გზას?

- |                 |                 |
|-----------------|-----------------|
| ა. 13 დღე-ლამე; | ბ. 15 დღე-ლამე; |
| გ. 10 დღე-ლამე; | დ. 12 დღე-ლამე. |

დ) რომელი საათი იქნება თბილისში, როცა ვაშინგტონში 15 საათია?

- ა. 18 საათი;
- ბ. 21 საათი;
- გ. 24 საათი;
- დ. დილის 3 საათი.


ე) თქვენი გემი სან-ფრანცისკოს (აშშ) პორტიდან 11 ოქტომბერს 20 საათზე გამოდის. გემი იოკოჰამას (იაპონია) პორტში 16 დღე-ღამის შემდეგ უნდა შევიდეს. გაუგზავნე შენს მეგობარს შეტყობინება, თუ რომელ რიცხვსა და რომელ საათზე უნდა დაგხვდეს:

- ა. 27 ოქტომბერი, 10 საათი;
- ბ. 28 ოქტომბერი, 14 საათი;
- გ. 29 ოქტომბერი, 12 საათი;
- დ. 26 ოქტომბერი, 20 საათი.

**3. გეოგრაფიული ამოცანა – დაადგინე, რომელ ადგილზეა საუბარი ტექსტში:**


„ეს ერთადერთი წერტილია ჩრდილოეთ ნახევარსფეროში, რომელიც არ მონაწილეობს დედამიწის დღელამურ ბრუნვაში. აქ არ იცვლება დღე და ღამე და ნებისმიერი წერტილი დედამიწის ზედაპირზე მისგან ყოველთვის მხოლოდ ერთი მიმართულებით მდებარეობს.“

**4. რუკის მიხედვით დაადგინე, რომელი მტკიცებულებაა მართებული:**



- ა. რუკაზე A-B ხაზი E-F ხაზზე უფრო გრძელია;
- ბ. რუკაზე ციფრი 9-ით აღნიშნულ წერტილში დრო გრინვიჩის დროისგან 5 საათით განსხვავდება;
- გ. რუკაზე მანძილი წერტილიდან წერტილამდე დაახლოებით 8000 კმ-ია;
- დ. რუკაზე C წერტილში მზე ზენიტშია 22 დეკემბერს.

1. დაადგინე, ჰორიზონტის რომელ მხარეს აჩვენებს ისარი სქემაზე:



- ა. \_\_\_\_\_  
 ბ. \_\_\_\_\_  
 გ. \_\_\_\_\_  
 დ. \_\_\_\_\_

2. შემოხაზე სწორი პასუხი:

ა) რომელი არ არის ჰორიზონტის შუალედური მხარე:

- ა. ჩრდილო-დასავლეთი;      ბ. სამხრეთ-ჩრდილოეთი;  
 გ. სამხრეთ-აღმოსავლეთი;      დ. ჩრდილო-აღმოსავლეთი.

ბ) ჰორიზონტის მხარე, რომლის აზიმუტია 250 გრადუსი, არის:

- ა. ჩრდილო-დასავლეთი;  
 ბ. სამხრეთ-დასავლეთი;  
 გ. ჩრდილო-აღმოსავლეთი;  
 დ. სამხრეთ-აღმოსავლეთი;  
 ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

გ) აზიმუტი იცვლება:

- ა. 0-180 გრადუსებს შორის;      ბ. 0-360 გრადუსებს შორის;  
 გ. 0 -300 გრადუსებს შორის;      დ. 90-270 გრადუსებს შორის;

დ) ჰორიზონტის მხარე, რომლის აზიმუტია 250 გრადუსი, არის:

- ა. ჩრდილოეთი;      ბ. დასავლეთი;  
 გ. აღმოსავლეთი;      დ. სამხრეთი;  
 ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

ე) ჰორიზონტის მხარე, რომლის აზიმუტია  $125^{\circ}$  გრადუსი, არის:

- |   |   |
|---|---|
| ა. ჩრდილოეთი;<br>ბ. აღმოსავლეთი;<br>გ. სამხრეთ-აღმოსავლეთი. | ბ. ჩრდილო-დასავლეთი;<br>დ. სამხრეთ-დასავლეთი; |
|---|---|

ვ) რა მიმართულებით ბრუნდებიან ექსპედიციის წევრები ჩრდილოეთ პოლუსიდან?

- |  |                                    |
|--|------------------------------------|
| ა. დასავლეთის;<br>ბ. სამხრეთის;<br>გ. ყველა პასუხი სწორია. | ბ. აღმოსავლეთის;<br>დ. ჩრდილოეთის; |
|--|------------------------------------|

ზ) რომელ აზიმუტს შეესაბამება მიმართულება ა.ს.ა?

1.  $135^{\circ}$ ;      2.  $292,5^{\circ}$ ;      3.  $112,5^{\circ}$ ;      4.  $202,5^{\circ}$ .

**3.** დახაზე შემდეგი აზიმუტები:

- |  |  |
|--|--|
| ა. $70^{\circ}$<br>ბ. $210^{\circ}$<br>გ. $95^{\circ}$<br>ბ. $195^{\circ}$ | ბ. $135^{\circ}$<br>დ. $305^{\circ}$<br>ვ. $160^{\circ}$<br>თ. $325^{\circ}$ |
|--|--|